საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/924
15/02/2023

924-21-2-202302151330

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“

მის: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელე

ელ. ფოსტა: info@chmg.com.ge

geocon12345@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2023 წლის 7 თებერვლის N873 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანას.

გაცნობებთ, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2022 წლის 24 ნოემბრიდან - 8 დეკემბრის ჩათვლით, განხორციელდა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2019 წლის 17 ივნისის N2-552 ბრძანება) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება, რომლის ფარგლებში გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, მათ შორის, დადგინდა, რომ საწარმოში, მეტალის დეტალების ჩამოსასხმელად მოწყობილია ინდუქციური ღუმელით დნობის საამქრო, სადაც განთავსებულია **ორი ერთეული (თითოეული 0.5 ტ/სთ წარმადობით) ინდუქციური ღუმელი**; საწარმოს ტერიტორიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში განთავსებულია დაშლილი, მწყობრიდან გამოსული ავტომანქანები (ე.წ. ავტომანქანების სასაფლაო); საწარმოს ტერიტორიაზე, დასავლეთით, ლითონკარკასულ შენობაში მოწყობილია ავტომობილების შემკეთებელი ორი ბოქსი. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მეორე ინდუქციური ღუმელის გამოყენებისა და ზემოაღნიშნული ობიექტების შესახებ. **სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და**

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიში მოიცავს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს და საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: გვ. 80-ზე მითითებულია, რომ საწარმოში გათვალისწინებულია მექანიკური ტიპის გამწმენდი ნაგებობებისა და ნავთობდამჭერების მოწყობა, ხოლო, გვ. 236-ზე წარმოდგენილი 9.1 ცხრილის მიხედვით, საწარმოში არ არის დაგეგმილი ახალი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. გარდა ამისა, გვ. 71-ზე მითითებულია, რომ საწარმოში დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 420-ს, ხოლო გვ. 103-ზე აღნიშნულია, რომ საწარმოში დასაქმებული იქნება 520 პირი. ამასთან, საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულების და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობა გაანგარიშებული უნდა იქნეს საწარმოში დასაქმებულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით;
- სკოპინგის ანგარიშში 2.1.7 და 2.1.8 ცხრილებში მოცემული საკადასტრო კოდები დასაზუსტებელია, ასევე დაზუსტებას საჭიროებს ცხრილი 3.2.2.1. გარდა ამისა, 2.4.2.2 ნახაზზე სანიაღვრე წყალშემკრების სისტემის სქემა წარმოდგენილია ექსპლიკაციის გარეშე;
- ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო